

დედის ფსიქოსოციალური პროფილი და მისი გავლენა აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე შვილთან ურთიერთობაზე

მარიამ ბადრიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამ ბადრიაშვილი

18.06.2021

სარჩევი

შესავალი	8
1. ლიტერატურის მიმოხილვა	10
1.1. აუტისტური სპექტრის აშლილობის მეორე ბავშვების დედები	10
1.2. აღზრდის სტილი	13
1.3. მშობლის კომპეტენცია	16
1.4. მშობლის სტრესი	18
2. კვლევის დიზაინი	23
2.1. კვლევის მიზანი	23
2.2. საკვლევი ჰიპოთეზები	23
2.3. საკვლევი კითხვები	24
2.4. მონაწილეები და პროცედურები	24
3. ინსტრუმენტები	25
3.1. მშობლის შვილთან ურთიერთობის კითხვარი	25
3.2. მშობლის სტრესის ინდექსი	27
3.3. მშობლის სტრესის ინდექსი	27
3.4. აღზრდის სტილებისა და განზომილებების კითხვარი	28
4. კვლევის პროცედურა	29
5. კვლევის შედეგების წარმოდგენა	29
5.1. აღწერითი სტატისტიკა	30
5.1.1. მშობლის კომპეტენციის სკალა	30
5.1.2. მშობლობის სტრესის სკალა	30
5.1.3. მშობლობის სტილის კითხვარი	30
5.1.4. მშობელი-ბავშვის ურთიერთობის განზომილებების კითხვარი	30
5.2. დასკვნითი სტატისტიკა	31
5.2.1. აუტისტური სპექტრის აშლილობისა და ტიპური განვითარების ბავშვების დედების შედარება	32
5.2.2. ჰიპოთეზების შემოწმება	32
5.2.3. მშობელი-ბავშვის ურთიერთობა- მიღება	32
5.2.4. მშობელი-ბავშვის ურთიერთობა- თანამშრომლობა	33

5.2.5. მშობელი-შვილის ურთიერთობა- სიმბიოზი.....	34
5.2.6. მშობელი-ბავშვის ურთიერთობა- კონტროლი.....	34
5.2.7. მშობელი-ბავშვის ურთიერთობა- რეაქცია წარუმატებლობაზე.....	35
6. შედეგების შეჯამება/ ძირითადი მიგნებები	35
7. შედეგების ინტერპრეტაცია.....	36
დასკვნა	39
რეკომენდაციები.....	41
კვლევის შეზღუდვები	41
გამოყენებული ლიტერატურა.....	42
დანართი N1	56
დანართი N2.....	58
დანართი N3.....	60
დანართი N4.....	63
ცხრილები	66
ცხრილი N1	66
ცხრილი N2.....	66
ცხრილი N3.	68

აბსტრაქტი

კვლევა ეხება აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების მშობლების მახასიათებლების (აღზრდის სტილი, კომპეტენცია და სტრესის მაჩვენებელი) გავლენას შვილთან ურთიერთობის ხარისხზე.

ბავშვის აღზრდა თავისთავად რთული პროცესია და ბევრ გამოწვევასა და სირთულესთანაა დაკავშირებული (Glasberg et al. 2006). ეს პროცესი უფრო მეტად რთულდება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებისთვის. შესაბამისად, საინტერესოა რა გამოწვევებისა და სირთულეების გადალახვა უწევთ მათ ყოველდღიურად შვილებზე ზრუნვისთვის გაწეული ძალისხმევის გამო, როგორც დილობენ ამ გამოწვევებთან გამკლავებას და რა გავლენას ახდენს ეს მათ შვილებთან ურთიერთობაზე.

კვლევის მიზანს წარმოადგენს აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების დედების აღზრდის სტილის, სტრესისა და კომპეტენციის განსაზღვრა და მათი შედარება ტიპური განვითარების ბავშვების მშობლების აღზრდის სტილის, სტრესისა და კომპეტენციის მაჩვენებელთან. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 34-მა აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე და 40-მა ტიპური განვითარების მქონე ბავშვის მშობელმა. აღზრდის სტილის საკვლევად გამოყენებული იქნა აღზრდის სტილისა და განზომილებების კითხვარი (PSDQ), სტრესის მაჩვენებლის საკვლევად „მშობლის სტრესის სკალა“ (PSS), მშობლის კომპეტენციის საკვლევად „მშობლის კომპეტენციის სკალა“ (PSC), ხოლო მშობლისა და ბავშვის ურთიერთობის საკვლევად გამოყენებულ იქნა სტოლინისა და ვარგას „მშობლის ბავშვთან ურთიერთობის კითხვარი“ (ORO).

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედებს აღენიშნებათ უფრო მაღალი სტრესის დონე, ვიდრე ტიპური განვითარების ბავშვების დედებს. თუმცა არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი განსხვავება აღზრდის სტილისა და კომპეტენციის მაჩვენებელში ამ ორ ჯგუფს შორის. რაც შეეხება ბავშვის და მშობლის ურთიერთობას, შედეგების მიხედვით, სტრესი უარყოფითი პრედიქტორია მხოლოდ

მიღებისთვის, ავტორიტეტული სტილი დედასა და შვილს შორის თანამშრომლობას წინასწარმეტყველებს, ხოლო კომპეტენცია არც ერთ დამოკიდებულ ცვლადთან არ არის დაკავშირებული.

შედეგების თანახმად, აღზრდის ავტორიტარული სტილი უარყოფითად მოქმედებს მშობლის მხრიდან შვილის მიღებაზე. ამასთანავე გამოვლინდა, რომ ლიბერალური აღზრდის სტილი სიმბიოზისა და კონტროლის დადებითი პრედიქტორია, რაც მოულოდნელი აღმოჩენა იყო კვლევისათვის.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედეებს აღენიშნებათ უფრო მაღალი სტრესის დონე, ვიდრე ტიპური განვითარების ბავშვების დედეებს. თუმცა არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი განსხვავება აღზრდის სტილსა და კომპეტენციის მაჩვენებელში ამ ორ ჯგუფს შორის. რაც შეეხება ბავშვისა და მშობლის ურთიერთობას, შედეგების მიხედვით, სტრესის მაღალი დონე წინასწარმეტყველებს მშობელი-ბავშვის ურთიერთობის დაბალ ხარისხს.

საკვანძო სიტყვები: აუტიზმი, კომპეტენცია, სტრესი, აღზრდის სტილი, მშობლისა და ბავშვის ურთიერთობა.

Abstract

The study addresses the influence of parental characteristics (parenting style, competence, and stress rate) on the quality of relationships with children with autism spectrum disorders.

Raising a child is a difficult process in itself and involves many challenges and difficulties (Glasberg et al. 2006). This process becomes more difficult for parents of children with special needs. At present, in our country there is insufficient research on the psychological and social environment of mothers of autistic children and its relationship with the child. Therefore, it is interesting to see what challenges and difficulties they have to overcome due to their daily efforts to care for their children, how they try to cope with these challenges, and what kind of impact this has on the quality of their relationship with their children.

The aim of the study was to determine the parenting style, stress and competence of mothers of children with autism spectrum disorder and to compare them with the parenting style, stress

and competence of parents with typically developed children. The study involved 34 parents of children with autism spectrum disorder and 40 parents of children with typical development. The Parenting Stress and Dimensions Questionnaire (PSDQ) was used to examine the parenting style, and the Parental Stress Scale (PSS) was used to assess the stress index. The Parent Competency Scale (PSC) was used to measure parental competence, and the Stolin and Varga Parent-Child Relationship Questionnaire (ORO) was used to examine parent-child relationships.

The study found that mothers of children with autism spectrum disorders had higher levels of stress than mothers of children with typical development. However, no significant difference was found in parenting style and competency between the two groups. As for the relationship between child and parent, according to the results, stress is a negative predictor only for acceptance, authoritative style predicts cooperation between mother and child, and competence is not related to any of the dependent variables. For the authoritarian style of parenting, according to the results, it has a negative effect on the parent's adoption of the child. It was also revealed that the permissive parenting style was a positive predictor of symbiosis and control, which was an unexpected discovery for the study.

The study found that mothers of children with autism spectrum disorders had higher levels of stress than mothers of children with typical development. However, no significant difference was found in parenting style and competency between the two groups. As for the relationship between child and parent, according to the results, high levels of stress predict a low degree of parent-child relationship.

Key words: autism, competence, stress, parenting style, parent-child relationship.